ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ე1516-23
"31" 08 2023 წ.

დადგენილება №003901
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

31.08.2023წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე 2023 წლის 4 აგვისტოს №003901 მითითება და 2023 წლის 31 აგვისტოს №003901 შემოწმების აქტი შედგენილი, შ.პ.ს **„დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს** (ს/ნ №405252710; მის.: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, მარტყოფის შესახვევი, №15) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის (სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა) 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, №162, საკ. კოდი №01.17.11.026.112-ზე, შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს მიერ, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) მშენებლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5304208 25.02.2021წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია მოპირკეთების მასალა, ფერი, ღიობების ნახატი და გაბარიტი. შეცვლილია ნაწილი აივნების სიგრძე. შენობის ძირში დასასრულებელია მოპირკეთება. შეცვლილია წყლის მილების რაოდენობა. **„ბ-ზ" ფასადი:** ±0.00 ნიშნულის ზემოთ მოწყობილია სარეკლამო ბანერები. ±0.00 და +6.30 ნიშნულებზე ფილის ძირში მოწყობილია რიგელები. **„ზ-ა" ფასადი:** ±0.00 ნიშნულზე „დ-გ" მონაკვეთში მოსაწყობია კარი. „ბ-ა" მონაკვეთში მოწყობილია კონდიციონერები და ვიტრაჟის ნაწილი შევსებულია გიპსოსით. +6.30 ნიშნულზე ფილის ძირში მოწყობილია რიგელები. „ზ" ღერძის გარეთ სართულებზე დამატებულია ფანჯრები. **„1-4" ფასადი:** „3-4" მონაკვეთში მოსაწყობია კარი. შენობაში შეცვლილია ბინების და საოფისე ფართების რაოდენობა.

სადარბაზოების ნაწილში ფიქსირდება სამშენებლო ნარჩენები. -3.15 ნიშნულზე სამუშაოები დასასრულებელია. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების კვეთი. „ე-ზ" მონაკვეთში შეცვლილია კოლონის მდებარეობა. გარე კედლების კოლონების ნაწილი ურთიერთშეუსაბამოა. გარე კედლების ნაწილში მოწყობილია ღიობები. „ბ" და „ე" ღერძებთან ორფრთიანის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი კარი. „დ" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა. მოსაწყობია სახანძრო ტუმბოების და რეზერვუარების ოთახი. „გ" ღერძზე ლიფტის წინ მოსაწყობია კედელი და კარი. „გ-დ" მონაკვეთში „2" ღერძთან შეცვლილია კედლის სიგრძე. „4" ღერძის გარეთ ტერიტორიაზე ფილაში მოწყობილია ღიობები. ±0.00 ნიშნულზე „4" და „ბ" ღერძების კვეთასტან დამატებულია კედლები და კარი. კიბის უჯრედების და ლიფტის წინ ორფთიანის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი კარი. „ა" და „2" ღერძების კვეთასთან მოწყობილია კედლები და კარი. „ზ-ე' მონაკვეთში შეცვლილია სან.კვანძის მდებარეობა. +3.15 ნიშნულზე გაზრდილია დერეფნის სიგრძე. +31.50 „3-4" და „4-3" მონაკვეთებში გაუქმებულია დამხმარე ფართები (ზამთრის ბაღი). არაექსპლატირებადი ნაწილები არ არის გამიჯნული. +34.65 ნისნულზე გაუქმებულია ლიფტის სამანქანო ოთახი. შეცვლილია სახურავზე ასასვლელი კიბის მოწყობა. შეცვლილია პარაპეტის პორმა (გაბარიტი). შახტების ნაწილის ფორმა არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებულია სახანძრო სისტემის კონსტრუქციები. პროექტით გათვალისწინებული სახანძრო სისტემების მოწყობა სრულად არაა შესრულებული.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2023 წლის 4 აგვისტოს შედგენილ იქნა №003901 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2023 წლის 31 აგვისტოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №003901 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. საქმეშია, შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს წარმომადგენლის მოქ. დავით ცირეკიძის (პ/ნ 01011028216) 2023 წლის 22 აგვისტოს №10/01232341403-17 განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება, მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 4 აგვისტოს №003901 მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის (სამშენებლო/სანებართვო პირობების დარღვევა) 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, №162, საკ. კოდი №01.17.11.026.112-ზე, განხორციელდა მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) მშენებლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №5304208 25.02.2021წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო

პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, №162, საკ. კოდი №01.17.11.026.112-ზე, პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული)) მშენებლობისათვის;

2. **შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზურაბ მამსიკაშვილმა

ელექტრონული საგადახდო დავალება No 1174

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 1174

თარიღი/Date: 11/10/2023 რეფერენს ნომერი/Reference number: 18921110329 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE34BG0000000100751285GEL

თანხა/Amount
15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405252710

საკომისიო/Commission
GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
11/10/2023

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #003901

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 1174

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 1174

თარიღი/Date: 11/10/2023 რეფერენს ნომერი/Reference number: 18921110329 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE34BG0000000100751285GEL

თანხა/Amount
15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
405252710

საკომისიო/Commission
GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
11/10/2023

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #003901

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: